ნიკოლა აბანიანო

პოზიტიური ეგზისტენციალიზმი

ნაწილი I – რა არის ეგზისტენციალიზმი?

1. ძიება

ადამიანის არსებობის ყოველი გამოვლინება, უმნიშვნელო თუ ამაღლებული, ყოფიერების ძიებაა. ჩვეულებრივი სწრაფვა სიამოვნებისა და კეთილდღეობისადმი და რელიგიური ლტოლვა ღმერთისადმი (ეს სრულიად ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობა რომ განვიხილოთ), ისევე, როგორც კონკრეტული ადამიანის ნებისმიერი სხვა გუნება-განწყობილება, საბოლოოდ ისეთი მდგომარეობის, არსებობის ისეთი პირობებისა და წესის ძიებაა, რომლებმაც ფუნდამენტური მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების განხორციელება უნდა უზრუნველყონ. ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანი იმის დაკმაყოფილებას, ისეთ სისრულესა და მდგრადობას ეძებს, რაც მას აკლია. იგი ყოფიერებას ეძებს. ეს გარემოება განსაზღვრავს მის სასრულობას. რაკი ეძებს ყოფიერებას, მაშასადამე, არ ფლობს მას და არც თვითონ არის ყოფიერება. ამ სასრულობის გაცნობიერება, მისი ბუნების სიღრმისეული შესწავლა ეგზისტენციალიზმის არსებითი ამოცანაა. მაგრამ მისი გააზრება თუ შეცნობა არა მხოლოდ მის განსჯის საგნად დასახვას, არამედ ამასთანავე მის გათვალისწინებას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს. აქ აშკარად იჩენს თავს ეგზისტენციალიზმის ახალი პერსპექტივა, რომელიც ადამიანისგან თავის სასრულობაში ჩართულობას მოითხოვს; მოითხოვს, რომ ყოფიერების ძიებისას, რომელიც მისი ყოველდღიური ან განსაკუთრებული მდგომარეობის არსს წარმოადგენს, მუდამ ახსოვდეს და არასოდეს უგულებელყოს ეს სუბსტანცია; მუდამ ახსოვდეს და არასოდეს უგულებელყოს ის ფაქტი, რომ ეს ძიება აზრსა თუ საფუძველს მხოლოდ მისი აღნაგობის შეზღუდულობის, მხოლოდ მისი ნაკლულობისა და არამდგრადობის გამო იძენს და რომ ამ ძიებისას გადადგმული ყოველი ნაბიჯი სხვა არაფერია, თუ არა მისი დაკავშირება მის სასრულობასთან. ეს მოთხოვნა აუქმებს მის წინაშე გარკვეულ პერსპექტივებს, მაგრამ იქვე გვისახავს სხვა, გაცილებით უფრო ნაყოფიერ პერსპექტივებს; აუქმებს სრული კმაყოფილების, საბოლოოდ განუყოფელი ფლობის, ზედმეტად თავდაჯერებული და უმოქმედო ლოდინის პერსპექტივას, მაგრამ ახდენს მის ჩანაცვლებას ბრძოლის, თვითდამკვიდრებისა და დაუფლების პერსპექტივით. ამ პერსპექტივაში ვითარება იცვლება. ადამიანი არ უნდა მიისწრაფვოდეს ყოფიერებისადმი იმის მოლოდინით, რომ შეძლებს მის დაუფლებას და ოდესმე მასზე სრულად ბატონობას, არ უნდა განიმსჭვალოს იმ ცრუ იმედით, რომ მასში გარდაისახება და მასთან გაიგივდება, იმ ცრუ იმედით, რომელიც მისი გარდაუვალი მარცხისა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის წინაპირობა იქნება. ამის ნაცვლად, უნდა განიმსჭვალოს ძიებისა და შეძენის

უნარით და ამასთანავე გაითვალისწინოს თავისი შესაძლებლობის საზღვრები და ყოველგვარი დაბნეულობის გარეშე სრული შეგნებით ამ საზღვრების ფარგლებში იმოქმედოს. ეს ვალდებულება, ეს ჩართულობა ამასთანავე ადამიანის საბოლოო ბუნების აღიარებაა და ამასთანავე მისი სასრულობის მეტაფიზიკური თვითგანსაზღვრაა: ადამიანი ყოფიერების ძიების ტრანსცენდენტული შესაძლებლობაა.

2. ჩართულობა საზღვრულობაში

აქ ცხადად იჩენს თავს ეგზისტენციალიზმის მეორე არსებითი ნიშან-თვისება. ფილოსოფოსობა არაა ფილოსოფოსთა პრივილეგია; იგი ადამიანის პასუხისმგებლობაა მისი სასრული მდგომარეობის მიმართ, იმ საზრისების მიმართ, რომლებიც მას განაპირობებენ და ქმედებისაკენ უბიძგებენ. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება გამოვლინდეს მრწამსის სახით მოქმედებაში, გუნება-განწყობასა და ხელოვნებაში; ის არ გამორიცხავს არცერთ ამოცანას, არცერთ ადამიანურ მდგომარეობას. მხოლოდ თავის საპირისპიროს, ანუ უპასუხისმგებლობას, სასრულობის უარყოფას გამორიცხავს.

მაგრამ ეს უკვე სათანადო მიმართულებით წარმართავს ეგზისტენციას, მის შემადგენლობას ავთენტური ნორმის ხასიათს ანიჭებს; გამორიცხავს დაბნეულობას, გაურკვევლობას, გამორიცხავს ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ეგზისტენციალურ კავშირს თავის თავთან და სხვებთან; ვინაიდან მისგან შინაგან ძალისხმევასა და სხვებთან ქმედით თანადგომას მოითხოვს. ეს სასრულობა, როგორც არსებობის სუბსტანცია, ყოფიერების ნორმად წარმოდგება და ამ ნორმას, რომელიც ადამიანს თავისი თავის სასრულობის გაცნობიერებისაკენ უბიძგებს, ამავდროულად, გამუდმებით გაჰყავს იგი საკუთარი თავის მიღმა, ვინაიდან ძიების უნარს, ყოფიერებასთან ურთიერთობის შესაძლებლობებს განუმტკიცებს.

ამგვარად, ის, რაც, ერთი შეხედვით, ადამიანის სისუსტედ, მისი ბუნების საზღვრულობის უძლურებად გამოიყურება, მის ძალად და ძლევამოსილებად გარდაიქმნება. ამის აღიარება, გაცნობიერება და ეს არჩევანი განაპირობებენ აღნიშნულ ტრანსფორმირებას. მაგრამ ეს ტრანსფორმირება თავისი არსით ის წინაპირობაა, რომლის წყალობით ადამიანი სრულად აცნობიერებს თავისი სასრულობის ბუნებას, რადგან ეს მის მიერ მიღებული არჩევანია. საბოლოო არჩევანი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გატაცებულია თავისი ამოცანით, რომ იგი მზადაა, ბოლომდე სრულად გამოავლინოს თავისი თავი. და ეს თავისთავადობა ადამიანს მის არჩევანამდე და გადაწყვეტილების მღებამდე როდი ეძლევა; ადამიანს მისი არჩევანი და გადაწყვეტილება აყალიბებს; ყოფიერების ძიება საკუთარი ყოფიერების, საკუთარი მე-ს ძიებაა. ეგო ადამიანის არსებობის ფუნდამენტური ერთეულია. ეს ერთეული მას პრივილეგიის სახით როდი ენიჭება, რომელსაც ვერ დაკარგავს: მის მოსაპოვებლად თავი უნდა დააღწიოს არასასურველი დამოკიდებულებების წადილთა ძლევისა და განსაკუთრებული ამოცანის ერთიანობაში ჩართვის საშუალებით. „მე“ არც ფსიქოლოგიური ან ანთროპოლოგიური მოცემულობაა და არც ობიექტურად აღსაქმელი ფაქტი; იგი ფუნდამენტური მოთხოვნილებაა, რომლისკენაც მიდრეკილია ადამიანი თავისი ყოფიერების ძიებისას, ის ზღვარია, რომლის ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფვის იგი ყოფიერებასთან თავის ურთიერთობისას.

ამგვარად, თავად „მე“ ტრანსცენდენტური მოვლენაა. თავის მეობას ადამიანი მანამდე ვერ მოიპოვებს, ვიდრე სასრულობაში თავისი ათასგვარი უმნიშვნელო მისწრაფებებითაა ჩართული და გაფანტული, და მხოლოდ მაშინ ახერხებს მის მოპოვებას, როდესაც თავის სასრულობაში ისეა ჩართული, რომ თავის მრავალგვარ მისწრაფებებს ერთობლივ ამოცანას უქვემდებარებს. და მაშინაც კი, როცა მოიპოვებს, შესაძლოა, მაინც დაკარგოს, ვინაიდან მისი გადაწყვეტილება არა წერტილივით გამოკვეთილი ქმედებაა, არამედ უწყვეტი პროცესია, რომელიც ყოველთვის შეიცავს გაფანტვისა და დაკარგვის საფრთხეს.

3. ტრანსცენდენტურობა

აქ ვეხებით ეგზისტენციალიზმის მესამე ფუნდამენტურ თემას: ტრანსცენდენტურობას. ყოველგვარი მოცემულობის გაუქმება, მთელი ყოფიერების განფენილობა მის პრობლემურ არსში ტრანსცენდენტურობის მოვლენის უზარმაზარ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ისევე, როგორც „მე“ მუდამ ტრანსცენდენტურია ადამიანისთვის იმის გამო, რომ განუწყვეტლივ უნდა შეუფარდოს მას თავისი თავი მის განსახორციელებლად, ასევე ტრანსცენდენტურია სამყაროს არსებაც. საკუთარი თავის, როგორც „მე“-ს გაცნობიერება ნიშნავს იმას, რომ შეპყრობილი ხარ საკუთარი ამოცანით, ხოლო საკუთარი ამოცანით შეპყრობილობა ნიშნავს სამყაროს ჩამოცილებას უმნიშვნელო მოვლენების ქაოსიდან და აღიარებას სერიოზულობისა და თანმიმდევრულობის სამყაროს წესრიგის, რომელშიც ყველაფერი „მე“-ს გამოვლენის საშუალება ან დაბრკოლებაა.

მათთვის, ვინაც ვერ დაისახა თავის ამოცანა, ვინაც ვერ იპოვა თავის მეობა, მათთვის სამყარო უაზრო მოვლენათა ერთობლიობად, წარმტაც, მაგრამ თანმიმდევრულობასა და მდგრადობას მოკლებულ სანახაობად წარმოდგება. მაგრამ მათთვის, ვინც სრულადაა შეპყრობილი თვითდამკვიდრებით, სამყარო წარმოდგება როგორც მწყობრი ერთიანობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ თვითდამკვიდრებისათვის აუცილებელი საშუალებები, მაგრამ ამასთანავე შესაძლოა, გადაულახავი დაბრკოლება და მარცხის პირობები შეუქმნას. სამყაროსათვის ნიშანდობლივი არსისა და მისი მკაფიოდ გამოხატული წესრიგის მიღება თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობაა და ამდენად არსებითადაა დაკავშირებული თვითდამკვიდრებასთან. ამგვარად, სამყარო არც ცალკეული ფაქტია და არც ფაქტების ერთობლიობა. მისი ნამდვილი არსი მხოლოდ ეგზისტენციალური ტრანსცენდენტური ზღვარის სახით ვლინდება.

4. კოეგზისტენცია

მაგრამ ტრანსცენდენტურობის საბოლოო არსი მხოლოდ კოეგზისტენციაში, თანაარსებობაში ვლინდება. იგი ეგზისტენციალიზმის მეოთხე ფუნდამენტური თემაა.

ერთი შეხედვით, ადამიანი, რომელიც თავისი ამოცანითაა შეპყრობილი და ყოველ ღონეს ხმარობს თვითდამკვიდრებისათვის, თავის თავს ამაყ თვითიზოლაციაში ამყოფებს; სინამდვილეში ადამიანის კავშირს სხვა ადამიანებთან არსებითი

მნიშვნელობა აქვს მისი ეგზისტენციისთვის და ორი არსებითი სახით, დაბადებითა და სიკვდილით, ვლინდება.

დაბადება და სიკვდილი არ წარმოადგენენ ფაქტებს, ადამიანური არსებობის ან ზოგადად ცხოვრების აუცილებელ საზღვრებს, როგორც ეს საყოველთაოდაა მიჩნეული. ისინი შესაძლებლობებია, რომელთა აღიარება და მიღება ან არცნობა და უგულებელყოფა ადამიანის გადასაწყვეტია. იმის აღიარებით, რომ მე დაბადებული ვარ, ვაღიარებ იმას, რომ ჩემი არსებობა მთლიანად თვითკმარია, იმდენად, რამდენადაც ჩემი წარმოშობა დაკავშირებულია სხვათა არსებობასთან და, შესაბამისად, ნიშნავს იმ საზოგადოების აღიარებას, რომელშიც ვარსებობ და რომელმაც წარმომქმნა. დაბადების ფაქტის გაცნობიერება (რომელსაც სიტყვიერად ყველა აღიარებს, მაგრამ ყველა როდი იაზრებს მის ეგზისტენციალურ არსს) ნიშნავს ადამიანის საზოგადოებასთან დამაკავშირებელი კვანძების გაცნობიერებას და პიროვნების არსებობის კონკრეტულ და ინდივიდუალურ ხასიათს გულისხმობს; ხოლო, თავის მხრივ, ყოველივე ეს ჩვენი საკუთარი არსებობის მიმართ სხვების საჭიროებისა და მნიშვნელობის აღიარებას ნიშნავს. ეგზისტენცია თავისთავად საკმარისი არ არის: მას წინ უნდა უძღოდეს ეგოს ტრანსცენდენტურობა ეგზისტენციის მიმართ: ტრანსცენდენტურობა ეგზისტენციისა და თანაარსებობის, კოეგზისტენციურობის მიმართ. ადამიანი ადამიანისაგან იბადება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყოფს არსებობისთვის თანაარსებობის აუცილებლობას: ეგზისტენციის დამოუკიდებლად არსებობის უკმარისობას, თანაარსებობაში მისი მოპოვების აუცილებლობას. ამის აღიარება გულისხმობს ადამიანური თანადგომის ეგზისტენციალურ აუცილებლობას, რომელიც საფუძვლად უძევს ისტორიულ ერთობებსა და საკუთრივ არსებობის ადამიანურ ასპექტებს: სიყვარულსა და მეგობრობას.

ეგზისტენციალური ურთიერთობა ვლინდება სოლიდარული კავშირების [სახსრების] სახით, რომლებიც ხელს უმართავენ ადამიანს უძლურებისა და უკმარისობის ჟამს და ავალდებულებენ მას, დაუბრუნოს სხვებს ის, რაც მათგან მიიღო. ამგვარად, ინდივიდის არსებობა იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვის არსებობასთან, რომ მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია. სიყვარული სხვა არა არის რა, თუ სხვისი მიჩნევა მეორე „მე“-დ აღიარების ტიპური გამოვლინება. იგი გულისხმობს ერთის სრულ გამჭვირვალობას მეორისათვის, გამჭვირვალობას, რომლის გამო ერთი მეორისთვის ზუსტად იგივეა, რაც არის თავისი თავისთვის. მეგობრობა, თავის მხრივ, ამრავალკეცებს ადამიანთა შორის ურთიერთგაგებისა და შეხვედრის შესაძლებლობებს და როგორც ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, ერთგვაროვანი ინტერესებისა და მისწრაფებათა ერთობლიობისაგან შედგება.

თანაარსებობის ყველა ნაირსახეობა ადამიანის სასრულ ბუნებას ეფუძნება, როგორც ყოფიერებასთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ადამიანს არ შეუძლია ყოფიერების ძიება ან ყოფიერებისადმი თავისი თავის მიკუთვნება თანაარსებობის გარეშე. ადამიანს არ შეუძლია თავისი თავის აღმოჩენა და თავისი მეობის ჩამოყალიბება სამყაროს რეალობისა და წესრიგის აღიარების გარეშე, თუ არ დაამყარებს ურთიერთობას სხვებთან და შესაბამისად, თუ არ გადაწყვეტს, ერთგული იყოს საზოგადოების მიმართ, რომელსაც განეკუთვნება და სიყვარულისა და მეგობრობის მიმართ.

მეორე მხრივ, სიკვდილი ცხადყოფს კოეგზისტენციური კავშირის რღვევის შესაძლებლობას. სიკვდილს ძალუძს, ჩამომაცალოს სხვებს, ქვეყნიერებას და ჩემს თავს. სიკვდილი არის არა დასასრული ან აღსასრული, არამედ შესაძლებლობაა, რომელიც თან ახლავს ყველა სხვა შესაძლებლობას და მათ შინაგან შეზღუდულობას განაპირობებს. იგი შეუძლებელის შესაძლებლობაა, რომელიც შიგნიდან განმგებლობს და განაგებს ყოველ ადამიანურ ქმედებას და მას მომავლისაკენ მიმართვად, ანუ სწორედ რომ შესაძლებლობად აქცევს. ნებისმიერ შემთხვევაში ადამიანი მერმისს უნდა გაუმკლავდეს; და ნებისმიერ შემთხვევაში მერმისი მისთვის ფარულ საფრთხეს შეიცავს, კერძოდ, იმის შესაძლებლობას, რომ მის საქმიანობას ან თავად მას შესაძლოა, ბოლო მოეღოს. ეს საფრთხე, თუ იგი გაცნობიერებულია და გათავისებულია, ყოველთვის ალბათობაა, წარმატების ან წაგების ალბათობა. მაგრამ, როგორც ასეთი, ეს ალბათობა გარდაუვალია. არადა, სწორედ ამ ალბათობიდან წარმოიქმნება გადაწყვეტილების აუცილებლობა, ერთგულების მოთხოვნილება.

5. ბედისწერა

აქ ჩვენ წინაშე ეგზისტენციალიზმის მეხუთე არსებითი თემაა, მომავალი წარსულში იმთავითვე ჩართული და წინასწარ გათვალისწინებული რომ იყოს მასში, ისტორიის უწყვეტი პროგრესი, აუცილებელი წესრიგი რომ იყოს, რომლის წყალობით ყოველი მონაპოვარი საბოლოო, ხოლო ყოველი ღირებულება სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებოდა და ვერანაირი რყევა, პიროვნებათა ვერანაირი ჩარევა ვერ შეაფერხებდა და ვერ შებღალავდა მას. მაგრამ სინამდვილეში ადამიანმა სწორება უნდა აიღოს ისტორიაზე, ანუ იმ წესრიგზე, რომელშიც მნიშვნელობას იძენს როგორც მისი ყოფიერება, ასევე სამყაროსა და საზოგადოების ყოფიერება და ყოველივე უნდა იღონოს, რათა როგორმე თავი დააღწიოს დროის უაზრო და ქაოსურ მოვლენებს. ადამიანი არ არის ისტორია; ის თვითონ უნდა იქცეს ისტორიად სამყაროსა და საზოგადოებაში თავისი თავის პოვნის გზით. თავი უნდა დააღწიოს დროის ზეწოლას, რომელიც მუდამ მზადაა, ჩაგვითრიოს თავისი წვრილმანი და უაზრო მოვლენების მორევში, და ისტორიაში თავისი წარმატების მოპოვების რისკს გასწევს. მაგრამ ამ რისკის გაწევა მხოლოდ ერთგულებითაა შესაძლებელი: მომავლისკენ სვლით, მისი წარსულთან შეერთებით და ამ წარსულში თავისი ნამდვილი „მე“-სა და სხვებთან თავისი კოეგზისტენციის ნამდვილი ფორმის ხელახლა აღმოჩენით. ეს ერთგულებაა ბედისწერა.

მითში ერას შესახებ პლატონი წარმოგვიდგენს, რომ სულები, ვიდრე გარდაისახებიან, ბედის ასარჩევად მიჰყავთ; რომ მათ ცხოვრების მრავალი ნიმუშის წინაშე აყენებენ, რომელთაგან თითოეულს შეუძლია თავისი ნება-სურვილით აირჩიოს ის, რომელთანაც შემდეგ განუყრელად იქნება დაკავშირებული. მაგრამ ხდება ისე, რომ ყოველი სული განვლილი ცხოვრების გამოცდილების მიხედვით აკეთებს თავის არჩევანს და რომ, მაგალითად, მრავალჭირნახული და ახლა ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებული ულისე თავისთვის სრულიად უბრალო და მოკრძალებულ ცხოვრებას ირჩევს.

ეს პლატონისეული მითი მრავლისმეტყველ საზრისს შეიცავს. ჩანს, რომ თავისი მიზანსწრაფვის არჩევისას, იმის დადგენისას, რაც ყოველი ჩვენგანის ბედს განსაზღვრავს, ადამიანის წინაშე უსაზღვრო შესაძლებლობებია, რომელთაგან არჩევანი თითქოსდა უნებლიედ ხდება. სინამდვილეში არ არსებობს უნებლიე არჩევანის შესაძლებლობა. მხოლოდ ერთადერთ შესაძლებლობას ვირჩევთ და თანაც ისეთს, რომელსაც შეგვიძლია მთელი არსებითა და შეგნებით მივუძღვნათ თავი. შეუძლებელია მისი გამოვლენა ამ არჩევანის შესაძლებლობის გარეშე. შეუძლებელია, გარედან განვიხილოთ ჩემ წინ არსებული და ჩემ მიერ უგულებელყოფილი სხვადასხვა შესაძლებლობა: სინამდვილეში ყველა სხვა შესაძლებლობა მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ მათგან მხოლოდ ერთადერთი, ანუ ის შესაძლებლობა ავირჩიოთ, რომლის წყალობითაც მოვიპოვებთ ჩვენს მეობას, ჩვენს ნამდვილ ურთიერთობას სხვებთან და გარესამყაროსთან. და ეს გადაწყვეტილება არის არა ერთჯერადი ქმედება, არამედ ღრმა ძიების უწყვეტი პროცესია, რომელიც ჩვენ მიერ არჩეულ შესაძლებლობაში ახალ-ახალ სიმდიდრეს ავლენს და თან გვიცავს იმისგან, რამაც შეიძლება თავგზა აგვიბნიოს და განგვამტკიცებს იმაში, რაც ჩვენთვის მისაღებია. ის ერთიანობა, რომელიც ჩემს მეობას ქმნის, ეგზისტენციალური ერთგულებაა, იმ ამოცანის ერთიანობაა, რომელშიც ჩემს თავს ვაცნობიერებ. სხვა შესაძლებლობები წარმოჩნდება ჩემ წინაშე ამ არსებითი ამოცანის გადაჭრისას, რომლის გარკვევასა და დადგენას ცდილობ. და ამ საქმეში სხვებს შეუძლიათ დამეხმარონ, ისევე, როგორც მე შემიძლია დავეხმარო მათ; მაგრამ, საბოლოოდ, გადაწყვეტილებას მე ვღებულობ. რასაკვირველია, შესაძლოა, შევცდე. პლატონური მითის სულების მსგავსად, შეიძლება მოჯადოებული ან მოხიბლული აღმოვჩნდე გარკვეული დამაბნეველი შესაძლებლობების გარეგანი ბრჭყვიალებით და ამაოდ გამოვედევნო მათ და ამით დავაბრკოლო ჩემი მეობისა და სხვებთან ჩემი ნამდვილი ურთიერთობის გამოვლენა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩემს შეცდომას ჯერ კიდევ მარცხამდე მივხვდები და ჩემთვის ცხადი გახდება, რომ იმიტომ ვცდებოდი, რომ ვერ შევძელი ჩემი მიზანდასახულების უზრუნველყოფა და განხორციელება. ეს უძლურება უმალ გამოიწვევს დაბნეულობისა და უსუსურობის განცდას; ვერ მოვიპოვებ ჩემს თავს იმაში, რასაც ვაკეთებ, რადგან არ ვიქნები ის, რაც უნდა ვიყო. ჩემი მეობის სუბსტანციის, ჩემი სასრულობის საბოლოო ბუნების დაკარგვით მე ჩემივე თავისა და სხვების წინაშე მოღალატე აღმოვჩნდები. ასეთი დაცემის ზღვართან ყოფნისას, თუ რამე არ მიხსნის და არ დამაბრუნებს ჩემს თავთან, ბოლო მოეღება და გაცამტვერდება არა მხოლოდ იმ შესაძლებლობებით, რომლებიც ეგზომ საიმედოდ მიმაჩნდა, არამედ ამასთანავე სულ უფრო მეტად გაიფანტება და დაკნინდება ჩემი მეობა და ჩემი ურთიერთობა სხვებთან: ეგზისტენციალურ და კოეგზისტენციალურ კავშირს განცალკევებისა და უგუნურების სახით საბოლოო რღვევის საფრთხე დაემუქრება. მაგრამ ჯერ კიდევ ამ ზღვართან მისვლამდე ჩემი „მე“ დაკარგავს შინაგან მთლიანობასა და თავის ბედს: ერთგულების უნარს მოკლებული, იგი უმნიშვნელო მოვლენებს მონა-მორჩილი გახდება და მისი ხვედრი ბედის გარეშე ანონიმურ ერთეულად ყოფნა იქნება.

ეგზისტენციალიზმი ადამიანის ანონიმური ინდიფერენტიზმისგან, დაბნეულობისგან, საკუთარი თავისა და სხვებისადმი ღალატისაგან დაცვისაკენ მიისრაფვის;

მიისწრაფვის იმისაკენ, რომ დაუბრუნოს მას მისი ბედი და თავისუფლება. თავისუფლება მისი არსებითი, ბოლო და შემაჯამებელი საკითხთაგანია. თავისუფალი ადამიანი ისეთი ადამიანია, რომელსაც ბედი გააჩნია. ბედი საკუთარი ისტორიული ამოცანისადმი, ანუ საკუთარი თავის, საზოგადოებისა და მსოფლიო წესრიგისადმი ერთგულებაა. თავისუფლება ერთგულების მიღების გადაწყვეტილებაა, საკუთარი ამოცანის არჩევაა და მისი ტრანსცენდენტული ღირებულების ურყევი რწმენაა, გულცივი ვნებაა, რომელიც ნათლად განჭვრეტს და განსჯის ყველაფერს მათთან გასამკლავლებლად.

6. ეგზისტენციალიზმის ისტორიულობა

ისტორიულად ეგზისტენციალიზმი დასავლეთის დიდი მეტაფიზიკის რიგს განეკუთვნება პლატონიდან წმინდა თომამდე, დეკარტედან და ვიკოდან კანტამდე. მაგრამ ეს დიდებული ადამიანები და ყველა სხვა, ვინაც რაიმე სახით თავისი სიტყვა თქვა ისტორიაში, ეგზისტენციალიზმს მიაჩნია არა ბალზამირებულად და მათს სისტემებში განსვენებულ, არამედ ცოცხალ და ძლევამოსილ მოღვაწეებად მიაჩნია, ვინაც საუკუნეების მანძილზე ადამიანებს ურთიერთგაგებისა და ურთიერთპოვნის გზა დაუსახეს და ვისაც კვლავაც ძალუძთ, ცხადად მიუგონ ადამიანთა გადაუდებელ და სასიცოცხლო კითხვებს. დოგმატიზმისა და სკეპტიციზმისგან თანაბრად თავისუფალი ეგზისტენციალიზმი კვლავ მიმართავს წარსულის ამ მოძღვართა მიერ დასმულ კითხვებს და რიდებითა და გულდასმით განსჯის მათ პასუხებს. ის სიტყვა, რომელიც ადამიანს გუშინ დიდად უღირდა, შესაძლოა, კვლავ დარჩება იმ სიტყვად, რომლითაც ის ხვალ იცხოვრებს, მაგრამ აუცილებელია მისი ხელახლა პოვნა და მკაფიოდ გახმოვანება, რათა შესაძლებელი იყოს მისი გაგონება. ეგზისტენციის განმარტების ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიოგრაფიული კვლევისა და განმარტების ამოცანასთან. ორივე თავდადებას, გარჯას, ერთგულებას და მონდომებას მოითხოვს.

ეგზისტენციალიზმი არ არის სკოლა და პროზელიტიზმი უცხოა მისთვის. ის არც წმინდა დოქტრინაა, მაგრამ რამდენადაც ამ დოქტრინის საფუძვლად ეგზისტენციალურ მიდგომას, ანუ ადამიანის მთლიანობას მოითხოვს, შეუძლია ადამიანს შეხსენების ან მაშველის სამსახური გაუწიოს, მაგრამ არ შეუძლია მისი გადაწყვეტილება და მისი ვალდებულება განსაზღვროს. იგი გზას გვისახავს, მაგრამ ფორმულას არ აწესებს. ამ გზის ბოლოს ყველას ეძლევა შესაძლებლობა, შეიმეცნოს თავისი ნამდვილი ბუნება და ყველამ შეიგნოს და გამოავლინოს თავისი თავი სოლიდარულ საზოგადოებაში.

იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა.

სალომე კენჭოშვილი

ნიკოლა აბანიანო – XX საუკუნის იტალიის ინტელექტუალური კლიმატის განმსაზღვრელი

ნიკოლა აბანიანო (Nicola Abbagnano, 1901-1990) XX საუკუნის იტალიის ინტელექტუალური კლიმატის განმსაზღვრელ ისეთ თვალსაჩინო მოაზროვნეთა რიგს განეკუთვნება, როგორებიც იყვნენ ანტიმარქსისტი და *იდეალისტი* ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი და კრიტიკოსი ბენედეტო კროჩე, *ნეოჰეგელიანელი* ჯოვანი ჯენტილე, მარქსისტი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ანტონიო გრამში და მწერალი, ესთეტიკოსი და ფილოსოფოსი უმბერტო ეკო.

აბანიანოს მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებული იყო ტურინის უნივერსიტეტთან, სადაც მის ფილოსოფიურ ლექციებს სტუდენტობის ჟამს არაერთი მომავალი გამოჩენილი იტალიელი მოაზროვნე ისმენდა, მათ შორის – უმბერტო ეკო.

1952 წლიდან იყო იტალიური ფილოსოფიური ჟურნალის „*Rivista di filosofia*"-ს თანარედაქტორი. 1953 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა იტალიის ფილოსოფოსთა და სხვა ინტელექტუალთა *Neoilluminismo italiano*-ს (ახალი განმანათლებლობის) სახელით ცნობილი მიმდინარეობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სწრაფვა განმანათლებლობის ხანის ტრადიციის განახლებისაკენ თანამედროვეობის გამოცდილებისა და ამოცანების შესაბამისად, კრიტიკული დამოკიდებულება მეტაფიზიკისა და ბენედეტო კროჩესა და ჯოვანი ჯენტილეს იდეალისტური ფილოსოფიისადმი და კავშირის დამყარება ისეთ მიმდინარეობებთან, როგორებიცაა ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი და ანალიტიკური ფილოსოფია.

ნიკოლა აბანიანოს ადრინდელი ფილოსოფიური მოღვაწეობა მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემებისა და აზროვნების სხვადასხვა საკითხს მოიცავს, რაც აისახა მის გამოკვლევებში „აზროვნების ირაციონალური წყაროები" (Le sorgenti irrazionali del pensiero, 1923), „ხელოვნების პრობლემა" (Il problema dell'arte, 1925), „ახალი ფიზიკა" („La fisica nuova, 1934) და „მეტაფიზიკის პრინციპი" (Il principio della metafisica, 1936).

აბანიანოს თავისი ფილოსოფიური სისტემა, პოზიტიური ეგზისტენციალიზმის სახელწოდებით, ჩამოყალიბებული აქვს წიგნებში „ეგზისტენციალიზმის სტრუქტურა" (La struttura dell'esistenza, 1939), „ეგზისტენციალიზმის შესავალი" (Introduzione all'esistenzialismo, 1942) და „პოზიტიური ეგზისტენციალიზმი" (*L'esistenzialismo positive,* 1948), ხოლო ერთგვარი შეჯამების სახით მის ნარკვევში „ეგზისტენციალიზმის სიკვდილი ან გარდასახვა" (Morte o trasfigurazione dell'esistenzialismo, 1955); მათში სრულიად ახლებურად არის გააზრებული გერმანული და ფრანგული ეგზისტენციალიზმის ძირითადი პოსტულატები.

ეგზისტენციალიზმის პოზიტიური ნაირსახეობის ჩამოყალიბებისას, აბანიანო, ჰაიდეგერის, იასპერსისა თუ სარტრისაგან განსხვავებით, ადამიანის ეგზისტენციის ნეგატიური ასპექტების გააზრებისას ანვითარებს იმ თეზას, რომ ეფემერუ-

ლობით აღსავსე სამყაროში, ადამიანურ შესაძლებლობათა შეზღუდულობის ფარგლებში არსებობს აბსურდის დაძლევისა და ყოვლის ჭეშმარიტი მეობის, თავისუფლებისა და არსებობის საზრისის მოპოვების გზა.

აბანიანო ეგზისტენციალიზმს პოზიტიურად განმარტავს, როგორც ტკივილისა და სხვადასხვა ნეგატიური ისტორიული სიტუაციების დაძლევის აუცილებლობას როგორც პიროვნულ, ისე სოციალურ დონეზე. ეგზისტენციალიზმის ამგვარი გააზრების მიზნით აბანიანოს თავის ფილოსოფიურ სისტემაში *ტრანსცენდენტური შესაძლებლობის* ცნება შემოაქვს. იგი აღნიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორიაში შესაძლებლობის ცნება ორგვარ გააზრებას პოულობდა: როგორც პოზიტიურს, ასევე ნეგატიურს.

მისი თქმით, კანტი პოზიტიური შესაძლებლობის ფილოსოფოსია, რომელიც აღიარებს გამოცდილების პრაგმატულ როლსა და ადამიანთა სასრულობის ფარგლებში მორალური პიროვნებისა და თანამეგობრობის შესაძლებლობას; ხოლო კიერკეგორი, პირიქით, შიშისა და განგაშის განცდის, ნეგატიური შესაძლებლობის ფილოსოფოსია. აქედან გამომდინარე, ეგზისტენციალიზმში ოპტიმიზმისა და მასში პოზიტიური საწყისის დამკვიდრების პირობად აბანიანოს შესაძლებლობის ცნების ამ ორი საპირისპირო ნაირსახეობის შეთავსება მიაჩნია.

აბანიანოს თანახმად, „კანტის *მოძღვრებასა და კირკეგორის მოძღვრებას შორის არსებობს არა ალტერნატივა, არა არჩევანი, არამედ მხოლოდ ურთიერთშევსებადობა (complementarietà). ადამიანის არსებობის შესაძლებლობა, რაც კანტს პოზიტიური ასპექტით აქვს განსაზღვრული, კიერკეგორმა ნეგატიური ასპექტით განსაზღვრა. თუ არსებობის ფილოსოფიას არ სურს, ცალმხრივი იყოს და თავად არსებობა არ დაიყვანოს მის რომელიმე ფრაგმენტამდე, კანტი გარკვეულწილად უნდა შეუფარდოს კიერკეგორს, ხოლო კიერკეგორი – კანტს. მხოლოდ ასე შეძლებს თავად ყოფიერების პრობლემურ სტრუქტურაში ყოფიერების ნორმისა და მეგზურის პოვნას“.* [1]

მართალია, ამბობს იგი, ადამიანისათვის არაა უცხო თავისი არსებობის ეფემერულობისა და აბსურდულობის განცდა, მაგრამ ამასთანავე მას შესწევს უნარი, დაუპირისპირდეს თავისი ეგზისტენციის ნეგატიურ მხარეებს. აბანიანოს თანახმად, ადამიანური სამყარო არა აბსურდის, არამედ შესაძლებლობათა სფეროა, რომელიც აღსავსეა თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობებით.

აბანიანო ოპტიმისტური მიმართულებით განავრცობს ჟან-პოლ სარტრის მიერ ესეში „ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია“ გამოთქმულ დებულებას, რომ თითოეული ადამიანი თავისი არჩევანით პასუხისმგებელია არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე. ამასთანავე აბანიანო უპირისპირდება სარტრის იმ იდეას, რომ ადამიანი რეალობასთან გარდუვალი შეჯახებისას განწირულია მარცხისთვის და რომ თითქოს არსებითად ერთი და იგივეა ადამიანი განმარტოებით თვრება, თუ ეროვნულ ბრძოლას მეთაურობს. სარტრისაგან განსხვავებით, აბანიანო ყურადღებას ამახვილებს ადამიანის არჩევანის მჭიდრო კავშირზე ზნეობრივ პასუხისმგებლობასთან და იცავს იმ იდეას, რომ თავისუფლების გაგება ზნეობრივ ასპექტსაც უნდა გულისხმობდეს.

[1] N. Abbagnano, Esistenzialismo positivo. El Rambaldi, Torino, 1995, p. 14.

აბანიანოს ფილოსოფიურ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კოეგზისტენციის (თანაარსებობის) ცნებას, რომლის მიხედვით, პიროვნების მიერ საკუთარი „პროექტის“ რეალიზების საუკეთესო გზა არის სვლა სხვა ადამიანთა „პროექტებისაკენ“, რაც მას ეხმარება, აღიქვას სამყარო არა აბსურდად, არა უაზრობად, არამედ ისეთ რეალობად, რომელიც მისგან თანამონაწილეობასა და თანადგომას მოითხოვს.

აბანიანოს თანახმად, ეგზისტენციალიზმს პრაქტიკული მიზანდასახულობა უნდა ჰქონდეს, პიროვნებას უნდა შესთავაზოს სხვადასხვა ხერხი, მეთოდი და სათანადო განწყობა ადამიანურ მოვლენათა არამდგრადობისადმი დასაპირისპირებლად. ადამიანის ჩართულობა სამყაროში საზოგადოებასთან თანამონაწილეობის საფუძველზე პიროვნული თვითდამკვიდრებისა და სრულად გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამგვარად, როგორც აღნიშნავენ, აბანიანოს ეგზისტენციალიზმი ეთიკურ საფუძველს ემყარება და მისი სახით, სარტრის მიერ დამკვიდრებული ტერმინი littérature engagée რომ ვიხმაროთ, რაც ისეთ ლიტერატურას გულისხმობს, რომელიც ადამიანთა პრაგმატულ ინტერესებს ემსახურება, ჩვენ წინაშე ანგაჟირებული ეგზისტენციალიზმია.

მას შემდეგ, რაც აბანიანომ დაასრულა მუშაობა პოზიტიური ეგზისტენციალიზმის სისტემაზე, მან თავისი ფილოსოფიური ინტერესები სხვადასხვა მიმართულებით მიაპყრო. ნაშრომებში „ახალი განმანათლებლობისაკენ: ჯონ დიუი“ (*Verso il nuovo illuminismo: John Dewey,* 1948). „შესაძლებლობა და თავისუფლება“ (*Possibilità e libertà*, 1956), „სოციოლოგიის პრობლემები“ (*Problemi di sociologia*, 1959) და სხვ., იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯონ დიუის პრაგმატიზმსა და ნეოპოზიტივიზმს, რომლებიც როგორც მარქსიზმის, ასევე კათოლიკური აზროვნების ალტერნატივად მიაჩნია; ამასთანავე, აყალიბებს იმ თვალსაზრისს, რომ აუცილებელია XVIII საუკუნის განმანათლებლობის ტრადიციის განთავისუფლება გონების აბსოლუტიზაციისა და პროგრესისადმი გადაჭარბებული რწმენისაგან და ისტორიის განვითარების სირთულისა და ირაციონალური ასპექტების გათვალისწინება.

აბანიანოს მიერ შედგენილი სამტომეული „ფილოსოფიის ისტორია“ (1945-1950), რომელიც მოიცავს ამ დარგის განვითარების წარმოჩენას ანტიკურობიდან თანადროულობამდე, XX საუკუნის ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის უმაღლეს მონაპოვრად ითვლება.

Salome Kenchoshvili

NICOLA ABBAGNANON – DETERMINER OF THE INTELLECTUAL CLIMATE OF THE XX CENTURY ITALY

Nicola Abbagnano's philosophical and pedagogical activity was mainly connected with the University of Turin, where many future prominent Italian thinkers, including Umberto Eco, listened to his philosophical lectures during their student years.

He opposed both the Marxist and socialist worldviews that dominated the political and cultural landscape of XX century Italy, as well as Catholicism. Although the latter was also irreconcilable with Marxism, Abbagnano believed that both systems of thought were varieties of dogmatism.

He belonged to the right wing of liberalism; he worked closely with *La Stampa*, the organ of the Italian Liberal Party. At the same time, in the 1920s and 1930s, the paradoxical consensus between Mussolini's fascist regime and liberal intellectuals was not unacceptable to him either. Usually, observers of Italian socio-political thought of the 20th century explain this concession of liberals to democratic ideals by the fact that they, including Nicola Abbagnano, considered a rigid fascist system as a condition for preventing civil war and chaos in the country. Only in the early 1940s did Abbagnano display anti-fascist sentiments.

Since 1952, he was the co-editor of the Italian philosophical magazine *Rivista di filosofia*. In 1953, under his leadership, a group of Italian philosophers and other intellectuals formed a movement known as the New Enlightenment, which was characterized by the desire to renew the tradition of Enlightenment in accordance with the experience and tasks of the present, a critical attitude to metaphysics and the idealistic philosophy of Benedetto Croce and Giovanni Gentile, establishing connections with such currents as neo-positivism, pragmatism and analytical philosophy.

Nicola Abbagnano's early philosophical interests cover methodological problems of science and various issues of thought, which are reflected in his works "The Irrational Sources of Thought" (*Le sorgenti irrazionali del pensiero*, 1923), "The Problem of Art" (*Il problema dell'arte*, 1925), "The New Physics" (*La fisica nuova*, 1934) and "The Principle of Metaphysics" (*Il principio della metafisica*, 1936).

Abbagnano formulated his philosophical system, called positive existentialism, in the books The Structure of Existentialism (*La struttura dell'esistenza*, 1939), Introduction to Existentialism (*Introduzione all'esistenzialismo*, 1942) and Positive Existentialism (*L'esistenzialismo positivo*, 1948), as well as in the form of a single summary in his essay The Death or Transformation of Existentialism (*Morte o trasfigurazione dell'esistenzialismo*, 1955), in which the basic postulates of German and French existentialism are understood in a completely new way.

Developing a positive variety of existentialism, Abbagnano, unlike Heidegger, Jaspers or Sartre, touching on the negative aspects of human existence, puts forward the thesis that in a world filled with ephemerality, within the limitations of human capabili-

ties, there is a way to overcome the absurdity of existence and obtain the true inner "I", freedom and the meaning of existence.

Abbagnano interprets existentialism positively, as the necessity of overcoming pain and various negative historical situations, both on a personal and social level. In order to understand existentialism in this way, Abagnano introduces the concept of transcendental possibility into his philosophical system. He notes that in the history of philosophy, the concept of possibility has found two understandings: both positive and negative.

In his words, Kant is a philosopher of positive possibility, recognizing the pragmatic role of experience and the possibility of moral personality and community within the limits of human limitedness; while Kierkegaard, on the contrary, is a philosopher of fear and alarm, of negative possibility. Therefore, Abbagnano considers the combination of two opposing varieties of the concept of possibility as a condition for the establishment of optimism and a positive aspect in existentialism.

According to Abbagnano, "*between the teachings of Kant and that of Kierkegaard, there is no alternative or choice, but only complementarity. The constitutive possibility of human existence, clarified by Kant in its positive aspect, has been clarified by Kierkegaard in the negative aspect that is inextricably connected to it. A philosophy of existence that does not want to be unilateral and does not want to reduce existence itself to a fragment, must in some way incessantly bring Kant back to Kierkegaard and Kierkegaard to Kant. Only in this way will it be able to trace in the same problematic structure of existence the norm and the guide of existence itself".* [1]

He says that although man is not alien to the feeling of the ephemerality and absurdity of his existence, he is also capable of confronting the negative aspects of his existence. According to Abbagnano, the human world is not a realm of absurdity, but of the possibilities of free choice.

Abbagnano develops in an optimistic direction the position expressed by Jean-Paul Sartre in his essay "Existentialism Is a Humanism", that every person is responsible for his choice not only to himself, but also to all mankind. At the same time, Abbagnano collides with Sartre's idea that a person is doomed to defeat in a direct confrontation with reality and that in essence there is no difference whether a person is drunk in solitude or leads a national struggle. Unlike Sartre, Abbagnano emphasizes the close connection between human choice and moral responsibility and defends the idea that the understanding of freedom should include the moral aspect.

In Abbagnano's philosophical system, great importance is also attached to the concept of coexistence, according to which the best way for a person to realize his own "project" is to move towards the "projects" of other people, which helps him perceive the world not as absurdity, not as meaninglessness, but as a reality that requires his participation and support.

In the words of Abbagnano, existentialism should have a practical purpose, it should offer the person various ways, methods and appropriate training to confront the

[1] N. Abbagnano, Esistenzialismo positivo. El Rambaldi, Torino, 1995, p. 14.

impermanence of human events. Human involvement in the world provides an opportunity for personal self-establishment and full disclosure on the basis of participation in society. Thus Abbagnano's existentialism is based on an ethical foundation and in its form, to use the term "littérature engagée" established by Sartre, which refers to a literature that serves the pragmatic interests of people, we have before us an engaged existentialism.

Having completed his work on the system of positive existentialism, Abbagnano directed his philosophical interests in various directions. In his works "Towards a New Enlightenment: John Dewey" (*Verso il nuovo illuminismo: John Dewey*, 1948), "Possibility and Freedom" (*Possibilità e libertà*, 1956), "Problems of Sociology" (*Problemi di sociologia*, 1959), etc., he pays special attention to the pragmatism and neo-positivism of John Dewey, which he considers an alternative to both Marxism and Catholic thought; at the same time, he develops the point of view that it is necessary to free the tradition of the XVIII century Enlightenment from the absolutization of reason and excessive faith in progress, and to take into account the complexity and irrational aspects of the development of history.

Abbagnano's three-volume "History of Philosophy" (1945-1950), which covers the development of this field from antiquity to modern times, is considered one of the highest achievements of philosophical historiography of the XX century.

ავტორები:

მიხეილ მახარაძე, პროფესორი, ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია კიულე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერეტუს პროფესორი ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რიგა

ლოურენს პოლ ჰემინგი, კნაპის ფონდის დირექტორი, ლანკასტერის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

ვალერიან რამიშვილი, პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

ანასტასია ზაქარიაძე, ასოც. პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

დემურ ჯალაღონია, პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

ნოდარ ბელქანია, პროფესორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ირაკლი ბრაჭული, პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

ლელა ალექსიძე, პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

მამუკა დოლიძე, ასოც. პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

ლალი ზაქარაძე, პროფესორი, ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ლაშხია, ასოც. პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მირიან ებანოიძე, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბადრი ფორჩხიძე, ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელიზბარ ელიზბარაშვილი, ასოც. პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

სოფიკო კვანტალიანი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნანა გულიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

მაია ქერქაძე, ფილოსოფიის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტი

დავით გალაშვილი, ფილოსოფიის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი, ფილოსოფიის ინსტიტუტი

ლაშა ხარაზი, ასოც. პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

სალომე კენჭოშვილი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ

მარი სილაგაძე, დოქტორანტი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

ვლადიმერ ხურციძე, დოქტორანტი, თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტი

დავით ბარათაშვილი, დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

AUTHORS:

Mikheil Makharadze, Professor, Batumi State University
Maija Kūle, Dr. habil. of Philology, Emeritus Professor, Head of the Institute of Philosophy and Sociology Riga
Laurence Paul Hemming, Director of the Knapp Foundation Emeritus Professor, Lancaster University,
Valerian Ramishvili, Professor, Institute of Philosophy, TSU
Anastasia Zakariadze, Associate Professor, Institute of Philosophy, TSU
Demur Jalaghonia, Professor, Instiute of Philosophy, TSU
Nodar Belkania, Professor, Faculty of Social and Political Sciences, TSU
Irakli Brachuli, Professor, Institute of Philosophy, TSU
Lela Alexidze, Professor, Institute of Philosophy, TSU
Mamuka Dolidze, Associate Professor, Institute of Philosophy, TSU
Lali Zakaradze, Professor, Batumi Rustaveli State University
Maka Iashkhia, Associate professor, Ilia State University
Mirian Ebanoidze, Professor, Akaki Tsereteli Kutaisi State University
Badri Porchkhidze, Associate Professor, Akaki Tsereteli Kutaisi State University
Elizbar Elizbarashvili, Associate Pprofessor, Institute of Philosophy, TSU
Sofiko Kvantaliani, Associate Professor, Georgian Technical University
Nana Guliashvili, Assistent Professor, Institute of Philosophy, TSU
Maia Kerkadze, PhD, Visiting Professor, Institute of Philosophy, TSU
David Galashvili, PhD, visiting professor Institute of Philosophy, TSU
Lasha Kharazi, associate professor, Georgian-American University
Salome Kenchoshvili, Assistent Professor, TSU
Mari Silagadze, PhD student, Institute of Philosophy, TSU
Vladimer Khurtsidze, PhD student, Institute of Philosophy, TSU
Davit Baratashvili, PhD student, Caucasus International University